განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

საგანმანათლებლო პროგრამა
„გეომორფოლოგია, კარტოგრაფია და ლანდშაფტური დაგეგმარება“,
მაგისტრატურა

სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

შეფასების თარიღ(ებ)ი: 26,27,28 მაისი 2021 წელი

დასკვნის წარდგენის თარიღი: 21 ივნისი

თბილისი

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ[1]

[1] ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში: მიეთითება ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულებები; „დაწესებულების საიდენტიფიკაციო

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით	ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი საჯარო სამართლის იურიდიული პირი
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	204864548
დაწესებულების სახე	უნივერსიტეტი

ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	გეომორფოლოგია, კარტოგრაფია და ლანდშაფტური დაგეგმარება
უმაღლესი განათლების საფეხური	მაგისტრატურა
მისანიჭებელი კვალიფიკაცია[2]	გეოგრაფიის მაგისტრი
დეტალური სფეროს დასახელება და კოდი	დედამიწის შემსწავლელი მეცნიერებები, 0532
ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითება (მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში)	
სწავლების ენა	ქართული
ECTS კრედიტების რაოდენობა	120 ECTS
პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/აკრედიტებული/პირობით აკრედიტებული/ახალი/საერთაშორისო აკრედიტაცია) შესაბამისი გადაწყვეტილების მითითებით (ნომერი, თარიღი)	აკრედიტებული 07/11/2012 N191

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ნოდარ ფოფორაძე, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	მიხეილ ელაშვილი, სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	მარიკა ტატიშვილი, სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, საქართველო

კოდის“ და „დაწესებულების სახის“ მითითება არ არის სავალდებულო უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებული უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებ(ებ)ისათვის

[2] უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან ერთად ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შემთხვევაში თუ განსხვავდება მისანიჭებელი კვალიფიკაციის ფორმულირება, მიეთითება ცალ-ცალკე დაწესებულებების მიხედვით

წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ნინო ჯოჯუა, შპს - შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ნინო დეკანოიძე, აკ.წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა

- **ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**

- **აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა**

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შექმნისა და სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ვიზიტის შესახებ საქართველოს განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2021 წლის 14 მაისის ბრძანების №446988 შესაბამისად, ექსპერტთა ჯგუფმა მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამის „გეომორფოლოგია, კარტოგრაფია და ლანდშაფტური დაგეგმარება“ აკრედიტაციის ვიზიტი განახორციელა ამა წლის 26-27 მაისს ონლაინფორმატში, ZOOM ინტერფეისის გამოყენებით, ხოლო 28 მაისს განხორციელდა ადგილზე ვიზიტი, მატერიალურ-ტექნიკური ბაზისა და ბიბლიოთეკის დასათვალიერებლად. ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტის მიზანს წარმოადგენდა „გეომორფოლოგია, კარტოგრაფია და ლანდშაფტური დაგეგმარება“ სამაგისტრო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაცია.

ვიზიტი წარიმართა მშვიდ, ორმხრივი ურთიერთპატივისცემისა და თანამშრომლობის პირობებში. გასაუბრებები და სხვა აქტივობები განხორციელდა დაწესებულებასთან წინასწარ შეთანხმებული დღის წესრიგის შესაბამისად: უნივერსიტეტის და ფაკულტეტის ადმინისტრაციასთან, პროგრამის თვითშეფასების ჯგუფთან, დაწესებულების და ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელებთან, პროგრამის ხელმძღვანელებთან, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან და დამსაქმებლებთან. შეხვედრების დროს განხილულ იქნა სადოქტორო პროგრამის მიზნები, შედეგები და მისი განხორციელების გზები.

- **საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა**

სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა „გეომორფოლოგია, კარტოგრაფია და ლანდშაფტური დაგეგმარება“ მთლიანობაში შესაბამისობაშია უნივერსიტეტის მიზნებთან, სტრატეგიულ გეგმასა და მისიასთან. სსიპ-ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, როგორც მრავალდარგოვანი უმაღლესი საგანმანათლებლო

დაწესებულება, ისწრაფვის უზრუნველყოს მაღალი ხარისხის განათლება და კვლევითი საქმიანობა, ხელი შეუწყოს სტუდენტების პიროვნულ განვითარებას, აღზარდოს პროფესიონალები და ლიდერები.

უნივერსიტეტში ჩართულია ინტეგრირებული საბიბლიოთეკო სისტემის ონლაინ კატალოგის სერვისი. ბიბლიოთეკას გააჩნია წვდომა ელექტრონულ ბაზებზე: პროგრამის სასწავლო კურსებისათვის საჭირო ძირითადი სახელმძღვანელოები სრულად განთავსებულია ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის და უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის წიგნის ფონდში. სასწავლო კურსებისა და ზოგადად, სასწავლო პროცესის შეფასების მიზნით, სამაგისტრო პროგრამა ითვალისწინებს სტუდენტებისთვის პრაქტიკული უნარ-ჩვევების განვითარებას. გარემოს დაცვის ეროვნულ სააგენტოს, დაცული ტერიტორიების სააგენტოს, საჯარო რეესტრს, გენერალური შტაბის კარტოგრაფია-გეოდეზიის სამსახურს, ტურიზმის სექტორს და უნივერსიტეტს შორის გაფორმებული მემორანდუმის ფარგლებში გეოგრაფიის დეპარტამენტის ლექტორ-თანამშრომლები და სტუდენტები მონაწილეობას ღებულობენ სხვადასხვა ტრენინგსა და პრაქტიკულ ღონისძიებაში. პროგრამის შემადგენელი ნაწილია სასწავლო-საველე პრაქტიკა, რომელიც მოიცავს საველე კვლევის, ვერბალური, დისკუსია/დებატების, დემონსტრირების მეთოდებს.

პროგრამას ემსახურება შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე აკადემიური და მოწვეული პერსონალი. სამაგისტრო პროგრამას ემსახურება 10 აკადემიური პერსონალი (მათ შორის 2 პროფესორი, 4 ასოცირებული პროფესორი, 2 ასისტენტ-პროფესორი და 2 მოწვეული პედაგოგი).

პროგრამა უზრუნველყოფილია იმ აუცილებელი ინფრასტრუქტურითა და მატერიალურ-ტექნიკური აღჭურვილობით, რაც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად, რასაც ემატება სტაბილური, პროგრამის განვითარებაზე ორიენტირებული საუნივერსიტეტო ბიუჯეტი.

განსაკუთრებით აღსანიშნავია თანამედროვე მოთხოვნებით, დასრულების სტადიაში მყოფი სააუდიტორიო და ლაბორატორიული სივრცის რემონტი. მართალია შეიმჩნევა ლაბორატორიული ბაზის ყოველწლიური შევსება, თუმცა მატერიალურ-ტექნიკური რესურსები ჯერ კიდევ გასაუმჯობესებელია.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა „გეომორფოლოგია, კარტოგრაფია და ლანდშაფტური დაგეგმარება“ შეფასდა აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისად:

სტანდარტი 1. - შეფასებულია, როგორც შესაბამისობაშია მოთხოვნებთან;
1.1. - შეფასებულია, როგორც შესაბამისობაშია მოთხოვნებთან;
1.2. - შეფასებულია, როგორც შესაბამისობაშია მოთხოვნებთან;
სტანდარტი 2. - შეფასებულია, როგორც შესაბამისობაშია მოთხოვნებთან;
2.1. – შეფასებულია, როგორც შესაბამისობაშია მოთხოვნებთან;
2.2. – შეფასებულია, როგორც შესაბამისობაშია მოთხოვნებთან;
2.3. – შეფასებულია, როგორც შესაბამისობაშია მოთხოვნებთან;
2.4. – შეფასებულია, როგორც შესაბამისობაშია მოთხოვნებთან;
2.5. – შეფასებულია, როგორც შესაბამისობაშია მოთხოვნებთან;
2.6. - შეფასებულია, როგორც შესაბამისობაშია მოთხოვნებთან;
სტანდარტი 3. - შეფასებულია, როგორც შესაბამისობაშია მოთხოვნებთან;
3.1. – შეფასებულია, როგორც შესაბამისობაშია მოთხოვნებთან;
3.2. - შეფასებულია, როგორც შესაბამისობაშია მოთხოვნებთან;

სტანდარტი 4. - შეფასებულია, როგორც შესაბამისობაშია მოთხოვნებთან;
4.1. – შეფასებულია, როგორც შესაბამისობაშია მოთხოვნებთან;
4.2. - შეფასებულია, როგორც შესაბამისობაშია მოთხოვნებთან;
სტანდარტი 5. - შეფასებულია, როგორც შესაბამისობაშია მოთხოვნებთან;
5.1. - შეფასებულია, როგორც შესაბამისობაშია მოთხოვნებთან;
5.2. - შეფასებულია, როგორც შესაბამისობაშია მოთხოვნებთან;

- **რეკომენდაციები**

- **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

  - სასურველია შესაბამისი პროფილის სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებების სამეცნიერო პერსონალის სასწავლო პროცესში ჩართვა ცოდნის და გამოცდილების გაზიარების მიზნით;
  - სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებებთან თანამშრომლობის მეტად გაუმჯობესება სასწავლო პროგრამის კიდევ უფრო დახვეწის მიზნით.
  - სასურველია პროგრამების განხორციელებაში დამსაქმებლების მეტი ჩართულობა;
  - სილაბუსებში აქტიურად იქნეს გამოყენებული თანამედროვე ინგლისურენოვანი დამატებითი ლიტერატურა;
  - სასურველია, მეტად გაიზარდოს სტუდენტთა მხარდაჭერა კვლევით საქმიანობებში;
  - სასურველია, სტუდენტთა და დამსაქმებლებს შორის მეტი კოორდინაცია;
  - სასურველია ლაბორატორიული ბაზის განახლების არსებული დინამიკის შენარჩუნება და კვლევის მეთოდოლოგიის გაძლიერება და გაღრმავება;
  - სასურველია დარგობრივი უცხო ენის სწავლების შემოტანა;
  - სასურველია, ინტერნაციონალიზიციის გეგმის შესაბამისად, სტუდენტთა მეტი დაინტერესება და ჩართულობა საერთაშორისო გაცვლით პროგრამებში;
  - სასურველია სტუდენტების ელექტრონული სერვისების გაუმჯობესება;
  - სასურველია, პრაქტიკის ობიექტების მეტად გაზრდა;
  - სასურველია არჩევით საგნად დაემატოს დისტანციური ზონდირება და თანამგზავრული დაკვირვების სისტემები;
  - სასურველია მაგისტრებისთვის ხელმძღვანელის/თანახელმძღვანელის არჩევა მსგავსი პროფილის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუციებიდან.

- **საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)**

- ხელახალი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები.

1.1 პროგრამის მიზნები
პროგრამის მიზნები ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის მიმართული და რა წვლილი შეაქვს სფეროსა და საზოგადოების განვითარებაში.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა სამაგისტრო პროგრამა შედგება ორი მოდულისაგან: „გეომორფოლოგია - კარტოგრაფია“ და „ლანდშაფტური დაგეგმარება“. ბოლო აკრედიტაციიდან პროგრამაში განხორციელდა პროგრამის მიზნების, სწავლის შედეგების და პროგრამის შინაარსის ცვლილება პროგრამის გაუმჯობესების მიზნით. პროგრამის მიზნები შეესაბამება თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მისიას, არის ნათლად ჩამოყალიბებული, რეალისტური და მიღწევადი. მიზნები ასახავს, თუ რა ცოდნისა და უნარ-ჩვევების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებაზეა ორიენტირებული პროგრამა.
მტკიცებულებები/ინდიკატორები პროგრამის აღწერილობა და პროგრამის სილაბუსები; • პროგრამის აღწერილობა და პროგრამის სილაბუსები • უნივერსიტეტის მისია (https://www.tsu.ge/ge/about/mission_statement/); • სსიპ-ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტრატეგიული განვითარების გეგმა (2018-2024) https://www.tsu.ge/data/file_db/PR/20182024_93990.pdf; • პროგრამის დარგობრივ კომიტეტზე საგანმანათლებლო პროგრამაში განსახორციელებელი ცვლილებების განხილვის სხდომის ოქმები; • შრომის ბაზრისა და დამსაქმებელთა მოთხოვნის ანალიზის დოკუმენტი • აკრედიტაციის პროცედურის დროს განხორციელებული გასაუბრებები
რეკომენდაციები: ○ წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის ○ არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

■ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

1.2 პროგრამის სწავლის შედეგები

- პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებსა ან/და პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას;პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს;
-
- შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

პროგრამის სწავლის შედეგები პასუხობს პროგრამის დასახულ მიზნებს. იგი მოიცავს იმ ცოდნას, უნარებს, პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რომელსაც სტუდენტი შეიძენს პროგრამის დასრულებისას. პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება კვალიფიკაციის შესაბამის დონეს და მისანიჭებელ კვალიფიკაციას. პროგრამის სწავლის შედეგები განსაზღვრულია არსებული რეგულაციების შესაბამისად. პროგრამაში წარმოდგენილ სწავლის შედეგების რუკაში ნათლად ჩანს სწავლის შედეგების და მიზნების შესაბამისობა.

წარმოდგენილი პროგრამა და მისი შედეგები შეესაბამება დარგის სპეციფიკასა და უზრუნველყოფს კურსდამთავრებულთა პროფესიით დასაქმებასა და განათლების შემდეგ საფეხურზე სწავლის გაგრძელების შესაძლებლობას. როგორც ინტერვიუებიდან ირკვევა პროგრამის და, საკუთრივ, სწავლის შედეგების შემუშავებაში, პროგრამის ხელმძღვანელებთან ერთად, სხვადასხვა აქტივობით მონაწილეობას იღებდა ყველა

დაინტერესებული მხარე - აკადემიური პერსონალი, სტუდენტები, კურსდამთავრებულები და დამსაქმებლები და შეესაბამება დარგის სპეციფიკასა და შრომის ბაზრის მოთხოვნებს. პროგრამის სწავლის შედეგები უზრუნველყოფს კურსდამთავრებულთა პროფესიით დასაქმებასა და განათლების შემდეგ საფეხურზე სწავლის გაგრძელების შესაძლებლობას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის ბრძანება (ბრძანება N69/ნ, 10.04. 2019 ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა და სწავლის სფეროების კლასიფიკატორის დამტკიცების შესახებ;
- საგანმანათლებლო პროგრამის აღწერილობა;
- პროგრამის სასწავლო კურსების სილაბუსები;
- პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების შესაბამისობის რუკა;
- დარგობრივი კომიტეტის სხდომის ოქმები;
- პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების და განვითარების მეთოდოლოგია;
- შრომის ბაზრისა და დამსაქმებელთა მოთხოვნების ანალიზი;
- აკრედიტაციის დროს განხორციელებული გამოკითხვა.

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებებთან თანამშრომლობის მეტად გაუმჯობესება სასწავლო პროგრამის კიდევ უფრო დახვეწის მიზნით.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
-

შეფასება

ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

■ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	✓			

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, პროგრამის სტრუქტურა, შინაარსი, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები
უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი პროგრამაზე დაშვების წინაპირობები ადეკვატურია საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვებისათვის. ძირითადი მოთხოვნებია: ბაკალავრის აკადემიური ხარისხი: საბუნებისმეტყველო, ზუსტ, აგრარულ, საინჟინრო, ეკონომიკურ, სოციალურ მეცნიერებებში და სხვა მომიჯნავე დარგებში; საერთო სამაგისტრო გამოცდა; გამოცდა სპეციალობაში (წერითი ფორმით). პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობას, არის სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი. სათანადო ინფორმაცია განთავსებულია უნივერსიტეტის, ფაკულტეტის ვებ-გვერდზე.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა;
- უნივერსიტეტის ვებ-გვერდი: www.tsu.ge.
- აკრედიტაციის პროცედურის დროს განხორციელებული გამოკითხვა.

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
-

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
-

შეფასება

ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

■ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი

პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით. პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებსა და სწავლის შედეგებს. პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

პროგრამის მოცულობაა 120 კრედიტი, სამაგისტრო პროგრამა შედგება ორი მოდულისაგან:

გეომორფოლოგია, კარტოგრაფია და ლანდშაფტური დაგეგმარება. საგანმანათლებლო პროგრამა შედგენილია უნივერსიტეტში მოქმედი დებულების (უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2017 წლის 8 დეკემბრის №153/2017 დადგენილებით ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საბაკალავრო, სამაგისტრო და დიპლომირებული მედიკოსის/სტომატოლოგის საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების ინსტრუქციისა და დამტკიცების პროცედურის შესახებ) მოთხოვნების შესაბამისად. პროგრამის შინაარსი და მოცულობა შეესაბამება სამაგისტრო საფეხურის მოთხოვნებს. პროგრამა იყენებს ECTS საკრედიტო სისტემას.

უკანასკნელი აკრედიტაციის შემდეგ საგანმანათლებლო პროგრამაში განხორციელდა რიგი ცვლილებებები. კერძოდ: „უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის N3 ბრძანებაში შეტანილი იმ ცვლილებების გათვალისწინებით, რომელიც ძალაში შევიდა 2016 წლის პირველი სექტემბრიდან, პროგრამის სასწავლო კურსების სილაბუსებით გათვალისწინებული სწავლა-სწავლების მეთოდები და შეფასების კრიტერიუმები, საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევის მეთოდები, აგრეთვე სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა მოყვანილ იქნა შესაბამისობაში ზემოაღნიშნულ ცვლილებებთან; შეიცვლა პროგრამისა და სილაბუსების სწავლის შედეგები კვალიფიკაციების განახლებულ ეროვნულ ჩარჩოსთან (საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 10 აპრილის №69/ნ ბრძანებით) თავსებადობის მიზნით; საგანმანათლებლო პროგრამის განვითარების მიზნით, სავალდებულო და არჩევით სასწავლო კომპონენტს დაემატა გარკვეული სასწავლო კურსები, შემუშავდა სილაბუსი სამაგისტრო ნაშრომისათვის.

სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან გასაუბრების დროს, მათ მიერ იყო წამოწეული დარგობრივი უცხო ენის სწავლების შემოტანის სურვილი და საჭიროება, რომ მათ მიეცეთ დარგობრივი უცხოური ენის შესწავლის შესაძლებლობა. ჩვენი მოსაზრებითაც სასურველია ამ საკითხის გათვალისწინება და თუნდაც არჩევითი სასწავლო კურსების ბლოკში შეთავაზება.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა;
- უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2019 წლის 22 ივლისის N100/2019 დადგენილება სსიპ –
  ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების, შეფასებისა და განვითარების პროცედურის დამტკიცების შესახებ :
  https://tsu.ge/ge/juridical/axad_council_resolutions/2019/1002019//
- უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს დადგენილება №76/2018 ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მხარდამჭერი კომიტეტების შემადგენლობების დამტკიცების შესახებ :

https://www.tsu.ge/ge/juridical/axad_council_resolutions/2018acad/762018//

- გეოგრაფიის დეპარტამენტის პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების
  მხარდამჭერი კომიტეტის სხდომის ოქმი N1
- აკრედიტაციის დროს განხორციელებული ინტერვიუები.

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- სასურველია დარგობრივი უცხო ენის სწავლების შემოტანა
- სასურველია არჩევით საგნად დაემატოს დისტანციური ზონდირება და თანამგზავრული დაკვირვების სისტემები.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
-

შეფასება

ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

■ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.3. სასწავლო კურსი

- ძირითადი სფეროს თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს, ხოლო ყოველი სასწავლო კურსის/საგნის/მოდულის/კონცენტრაციის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს;
- სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა დაფუძნებულია სწავლის სფეროს აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების

მიღწევას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

საგანმანათლებლო პროგრამის კურიკულუმის რუკა ნათლად მიუთითებს, რომ სავალდებულო სასწავლო კურსების სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს. თითოეული სასწავლო კურსის სილაბუსში ასახული სასწავლო კურსის შინაარსი შეესაბამება ამ სასწავლო კურსის სწავლის შედეგებს, რომლებიც, შესაბამისობაშია ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოთი განსაზღვრულ სწავლის შედეგებთან. თითოეული სასწავლო კურსისთვის გამოყოფილი კრედიტების რაოდენობა (საკონტაქტო და დამოუკიდებელი საათების რაოდენობა) მითითებულია პროგრამის სასწავლო გეგმაში და სასწავლო კურსის სილაბუსში და შეესაბამება ამ კურსის შინაარსსა და სწავლის შედეგებს; საკონტაქტო და დამოუკიდებელ საათებს შორის თანაფარდობა განსაზღვრულია კურსის სპეციფიკისა და მისი სწავლის შედეგების გათვალისწინებით. სასწავლო კურსით გათვალისწინებული და შესაბამის სილაბუსში მითითებული სტუდენტის ცოდნისა და უნარების შეფასების მეთოდები უზრუნველყოფს სასწავლო კურსის თითოეული სწავლის შედეგის მიღწევის შეფასებას. შეფასების სისტემა სრულ შესაბამისობაშია არსებულ რეგულაციებთან. სავალდებულო და დამატებითი ლიტერატურა თანამედროვეა და შეესაბამება კურსის მიზნებს. სილაბუსებში პერიოდულად ხორციელდება ლიტერატურის განახლება, შეფასების კრიტერიუმების სრულყოფა, სწავლების მეთოდებისა და სხვა სახის ცვლილებები. სილაბუსებში სასწავლო მასალა შეესაბამება კურსის სწავლის შედეგებს, ითვალისწინებს ინფორმაციული სისტემების აქტუალურ მიღწევებს და უზრუნველყოფს თანამედროვე მოთხოვნებთან საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისობას, თუმცა ზოგიერთ სასწავლო კურსის სილაბუსში დასამატებელია თანამედროვე ინგლისურენოვანი დამატებითი ლიტერატურა.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა;
- სასწავლო კურსების სილაბუსები;
- საგანმანათლებლო პროგრამის კურუკულუმის რუკა ;
- უნივერსიტეტის ვებ-გვერდი;
- აკრედიტაციის დროს განხორციელებული ინტერვიუები.

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- სასწავლო კურსის სილაბუსებში დაემატოს თანამედროვე ინგლისურენოვანი დამატებითი ლიტერატურა.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის

შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
-

შეფასება

ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

■ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.4 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება

პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

საგანმანათლებლო პროგრამა ითვალისწინებს სტუდენტთა პრაქტიკული და ტრანსფერული უნარების განვითარებას. პროგრამა ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას სხვადასხვა პროექტში, მათ მონაწილეობას კათედრებთან/სამეცნიერო ცენტრებთან არსებულ სტუდენტურ სამეცნიერო წრეებსა და სტუდენტურ სამეცნიერო კონფერენციებში. ამ მიზნით, ფაკულტეტზე ყოველ სემესტრში ტარდება სტუდენტთა საუნივერსიტეტო სამეცნიერო კონფერენცია. სტუდენტები მონაწილეობას იღებენ აგრეთვე საქართველოს სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებთან ერთად ჩატარებულ სტუდენტთა უნივერსიტეტთაშორის კონფერენციებში. უნივერსიტეტი ხელს უწყობს სტუდენტების მიერ პრაქტიკული და ტრანსფერული უნარ-ჩვევების გამომუშავებასა და განვითარებას მათთვის სტაჟირების განხორციელებით. სტუდენტთა ტრანსფერული უნარების განვითარებაზეა ორიენტირებული აგრეთვე კურიკულუმისაგან დამოუკიდებელი ინიციატივები, რომლებიც ვლინდება სტუდენტთა მონაწილეობით განხორციელებულ სხვადასხვა კულტურული, ინტელექტუალური, სპორტული და საქველმოქმედო ღონისძიებების მხარდაჭერაში. უნივერსიტეტში მოქმედებს სტუდენტური სამეცნიერო პროექტების მხარდაჭერის ტრადიცია. თუმცა შესაბამის პროფილის სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებების სამეცნიერო პერსონალის მეტად ჩართულობა სასწავლო პროცესში ჩართვა ცოდნის და გამოცდილების გაზიარების მიზნით, გამოადგება პროგრამას მიზნების და სწავლის შედეგების მიღწევაში.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა;
- პროგრამის სასწავლო კურსების სილაბუსები;
- ინფორმაცია სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენციებში პროგრამის სტუდენტთა მონაწილეობის თაობაზე უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე
- აკრედიტაციის დროს განხორციელებული ინტერვიუები.

რეკომენდაციები:

-

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- სასურველია შესაბამისი პროფილის სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებების სამეცნიერო პერსონალის სასწავლო პროცესში მეტად ჩართვა ცოდნისა და გამოცდილების გაზიარების მიზნით.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
-

შეფასება

ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.5 სწავლება-სწავლის მეთოდები

პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

საგანმანათლებლო პროგრამის თითოეულ კომპონენტში, მისი თავისებურებიდან გამომდინარე, გამოიყენება სწავლება/სწავლის მეთოდები და აქტივობები, რომლებიც განაპირობებენ ამ კომპონენტით გათვალისწინებული სწავლის შედეგების ეფექტურად მიღწევას, ხოლო მათი ერთობლიობა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.

პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად გამოყენებულია სწავლების მეთოდები და მათი შესაბამისი აქტივობები: ლექცია, ლაბორატორიული, პრაქტიკული მეთოდები; ვერბალური ანუ ზეპირსიტყვიერი; დისკუსია, დებატები; ჯგუფური მუშაობა; პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება; შემთხვევის ანალიზი; დედუქცია, ინდუქცია/ანალიზი, სინთეზი; ასევე შედარებითი და სივრცე-დროითი ანალიზის მეთოდი.

უნივერსიტეტში შემუშავებულია სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე სტუდენტთა საგანმანათლებლო პროცესის განხორციელების წესი და ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების წესი , რომელთა მიზანია უნივერსიტეტში სსსმ და შშმ სტუდენტებისათვის საგანმანათლებლო პროცესის ეფექტიანად, უწყვეტად და ხარისხიანად განხორციელების უზრუნველყოფა და სტუდენტების განსხვავებული მოთხოვნების, საჭიროებებისა და აკადემიური მომზადების დონის გათვალისწინება.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა (დანართი 1);
- საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კურსების სილაბუსები (დანართი 1);
- საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების რუკა (დანართი 4);
- უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს დადგენილება №68/2018 - ინდივიდუალური სასწავლო
- გეგმის შემუშავების წესის დამტკიცების შესახებ ;
- უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს დადგენილება №71/2018 - სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე სტუდენტთა საგანმანათლებლო პროცესის განხორციელების წესის დამტკიცების შესახებ
- აკრედიტაციის დროს განხორციელებული ინტერვიუები.

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
-

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

■ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.6. სტუდენტების შეფასება

სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით, გამჭვირვალეა და კანონმდებლობასთან შესაბამისი.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით, რაც ასახულია უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესში. შეფასების პროცედურები არის სამართლიანი, გამჭვირვალე და შეესაბამება საქართველოს მოქმედ კანონმდებლობას. საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა ასახულია პროგრამის აღწერით ნაწილში, ხოლო შეფასების კონკრეტული კომპონენტები და მეთოდები ითვალისწინებს სასწავლო კურსის სპეციფიკას, შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს და განსაზღვრულია შესაბამისი სილაბუსით. ინდივიდუალური სწავლის შედეგის მიღწევის დონეზე სტუდენტს შეუძლია მიიღოს ინფორმაცია სასწავლო პროცესის მართვის სისტემის (sms.tsu.ge, lms.tsu.ge) და ელექტრონული სწავლების პორტალის (e-learning.tsu.ge) საშუალებით. სამაგისტრო ნაშრომის შეფასების კრიტერიუმები დეტალურად არის გაწერილი სილაბუსში.

სამაგისტრო ნაშრომის გაფორმების ინსტრუქცია განთავსებულია ფაკულტეტის ვებ გვერდზე.

საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისას სტუდენტის სწავლის შედეგის მიღწევის დონე ფასდება ***უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის შესახებ*** საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის N3 ბრძანებით დამტკიცებული შეფასების სისტემის შესაბამისად.
შეფასება მოიცავს შეფასების ფორმებს - შუალედურ (ერთჯერად ან მრავალჯერად) და დასკვნით შეფასებას, რომელთა ჯამი წარმოადგენს საბოლოო შეფასებას (100 ქულა).
შუალედური და დასკვნითი შეფასება (შეფასების ფორმები) მოიცავს შეფასების კომპონენტს/კომპონენტებს, რომელიც განსაზღვრავს სტუდენტის ცოდნის ან/და უნარის ან/და კომპეტენციების შეფასების ხერხს/ხერხებს (ზეპირი/წერითი გამოცდა, ზეპირი/წერითი გამოკითხვა, საშინაო დავალება, პრაქტიკული/თეორიული სამუშაო და

სხვ.).
სტუდენტს კრედიტი ენიჭება მხოლოდ დადებითი შეფასების მიღების შემთხვევაში. შეფასების სისტემა ითვალისწინებს ხუთი სახის დადებით შეფასებას:
(A) ფრიადი - შეფასების 91 – 100 ქულა;
(B) ძალიან კარგი - 81-90 ქულა;
(C) კარგი - 71-80 ქულა;
(D) დამაკმაყოფილებელი - 61-70 ქულა;
(E) საკმარისი - 51-60 ქულა.
ორი სახის უარყოფითი შეფასებას:
(FX) ვერ ჩააბარა - 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდებადა ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;
(F) ჩაიჭრა - 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი თავიდან აქვს შესასწავლი.
საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტში, FX-ის მიღების შემთხვევაში დამატებითი გამოცდა დაინიშნება დასკვნითი გამოცდის შედეგების გამოცხადებიდან არანაკლებ 5 კალენდარულ დღეში. სტუდენტის მიერ დამატებით გამოცდაზე მიღებულ შეფასებას არ ემატება დასკვნით შეფასებაში მიღებული ქულათა რაოდენობა.
დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასება არის დასკვნითი შეფასება და აისახება საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტის საბოლოო შეფასებაში. დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასების გათვალისწინებით საგანმანათლებლო კომპონენტის საბოლოო შეფასებაში 0-50 ქულის მიღების შემთხვევაში, სტუდენტს უფორმდება შეფასება F-0 ქულა.
სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაში ასევე მოაზრებულია სხვა ტიპის შეფასების სქემაც, კერძოდ, კვლევითი ნაშრომის, რომელიც შემუშავებულია ფაკულტეტზე და ითვალისწინებს დარგების სპეციფიკას. **სამაგისტრო ნაშრომის შეფასების** სქემა შემდეგნაირია**:**
ხელმძღვანელის შეფასება - 20 ქულა
რეცენზირება - 20 ქულა
საჯარო დაცვა/დაცვის კომისიის შეფასება - 60 ქულა.
შეფასების სისტემა უშვებს:
ა) ხუთი სახის დადებით შეფასებას:
(A) ფრიადი - 91 ქულა და მეტი;
(B) ძალიან კარგი - 81-90 ქულა;
(C) კარგი - 71-80 ქულა;
(D) დამაკმაყოფილებელი - 61-70 ქულა;
(E) საკმარისი - 51-60 ქულა;
(F) ჩაიჭრა - 50 ქულა და ნაკლები ბ) ორი სახის უარყოფით შეფასებას:
(FX) ვერ ჩააბარა – 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და უფლება ეძლევა გადამუშავებული სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტი წარადგინოს მომდევნო სემესტრის განმავლობაში.
(F) ჩაიჭრა – 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მაგისტრანტი კარგავს იგივე სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის წარდგენის უფლებას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა (დანართი 1);
- პროგრამის სასწავლო კურსების სილაბუსები (დანართი 1);
- ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის ვებ-გვერდი;
- აკრედიტაციის პროცედურის დროს განხორციელებული ინტერვიუები;
- ინტერვიუ სტუდენტებთან.

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- სასურველია სტუდენტების ელექტრონული სერვისების გაუმჯობესება;
- სასურველია, პრაქტიკის ობიექტების მეტად გაზრდა.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
-

შეფასება

ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

■ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების	X			

შეფასების ადეკვატურობა				

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა

პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას, შესაბამისი სერვისების შეთავაზებით; ხელს უწყობს სტუდენტების მაქსიმალურ ინფორმირებას, ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ადგილობრივ და/ან საერთაშორისო პროექტებში.

3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო მომსახურება
სტუდენტი იღებს სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებაზე, დასაქმებაზე სათანადო კონსულტაციას და კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებულ მხარდაჭერას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი როგორც ონლაინ-ვიზიტისას შესაბამის ფოკუს-ჯგუფებთან ჩატარებული ინტერვიუებიდან და შესაბამისი დოკუმენტაციის გაცნობის შედეგად გამოიკვეთა, სტუდენტები აქტიურად არიან ჩართულნი პროგრამის განვითარებისა და შეფასების პროცესშიც. პერიოდულად ტარდება სტუდენტების როგორც საუნივერსიტეტო, ასევე საფაკულტეტო და უშუალოდ პროგრამის შიდა გამოკითხვა, რომლითაც ფასდება როგორც საგანმანათლებლო პროგრამა და მისი უზრუნველყოფისათვის აუცილებელი ადამიანური და მატერიალურ ტექნიკური რესურსები, ასევე ზოგად საუნივერსიტეტო სერვისის ხარისხიც. აქვე ხაზგასასმელია, რომ მოცემული პროგრამის სტუდენტებს საშუალება აქვთ მიიღონ მონაწილეობა უნივერსიტეტისა და ფაკულტეტის მიერ დაგეგმილ სტუდენტთა ღია საერთაშორისო კონფერენციებსა და შეხვედრებში. პროგრამაზე ჩარიცხულ სტუდენტებთან უნივერსიტეტისა და ფაკულტეტის ადმინისტრაციის წარმომადგენლები, აგრეთვე უნივერსიტეტის ადმინისტრაციული სტრუქტურული ერთეულების წარმომადგენლები ატარებენ საინფორმაციო ხასიათის შეხვედრებს, სადაც სტუდენტები იღებენ ამომწურავ ინფორმაციას სასწავლო პროცესთან დაკავშირებული ყველა საკითხის შესახებ; ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამების და სასწავლო პროცესის მარეგულირებელი ძირითადი დოკუმენტების, სხვადასხვა ადგილობრივი და საერთაშორისო პროექტებისა და ღონისძიებების შესახებ განთავსებულია უნივერსიტეტის-ვებ გვერდზე, ფაკულტეტის დეკანატში და ხელმისაწვდომია სტუდენტისათვის; სასწავლო კურსზე პასუხისმგებელი ლექტორის და მისი ასისტენტის (არსებობის შემთხვევაში) საკონტაქტო ინფორმაცია და სტუდენტთან ინდივიდუალური მუშაობის დრო და სხვ. სტუდენტისათვის არის ხელმისაწვდომი; გარდა ამისა სტუდენტებთან ურთიერთობისთვის გამოიყენება ლმს პლატფორმა (სტუდენტების მიერ სხვადასხვა ტიპის ცნობების მოთხოვნა, საგამოცდო ქულის გასაჩივრება და ა.შ.), ელექტრონული ფოსტა, სოციალური ქსელები. კონსულტაციები

დასაქმებასთან დაკავშირებით სტუდენტს შეუძლია მიიღოს სტუდენტთა კარიერული განვითარების ცენტრშიც, რომელიც უზრუნველყოფს ასევე სტუდენტის კარიერული განვითარების მხარდაჭერას.

ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამების და სასწავლო პროცესის მარეგულირებელი ძირითადი დოკუმენტების, სხვადასხვა ადგილობრივი და საერთაშორისო პროექტებისა და ღონისძიებების (მაგალითად, დაგეგმილი კონფერენციების, შიდა საუნივერსიტეტო და სხვადასხვა ფონდების მიერ დაწესებული/გამოცხადებული სტიპენდიების, გაცვლითი პროგრამების და სხვ.) შესახებ განთავსებულია უნივერსიტეტის-ვებ გვერდზე, ფაკულტეტის დეკანატში და ხელმისაწვდომია სტუდენტისათვის;

სასწავლო პროცესის დაგეგმვისა და მიღწევების გასაუმჯობესებლად აუცილებელი სხვა ინფორმაცია (როგორიცაა სასწავლო და საგამოცდო ცხრილები, შუალედური და დასკვნითი (აგრეთვე განმეორებითი) გამოცდების შეფასებები, სასწავლო კურსზე პასუხისმგებელი ლექტორის და მისი ასისტენტის (არსებობის შემთხვევაში) საკონტაქტო ინფორმაცია და სტუდენტთან ინდივიდუალური მუშაობის დრო და სხვ.) სტუდენტისათვის არის ხელმისაწვდომი.

კონსულტაციების და დახმარების მიღება სტუდენტს ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე შეუძლია ფაკულტეტის დეკანატში, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურში, სასწავლო პროცესის მართვის სამსახურში, კანცელარიაში და უნივერსიტეტის სხვა დამხმარე სტრუქტურულ ერთეულებში, გარდა ამისა სტუდენტებთან ურთიერთობისთვის გამოიყენება ლმს პლატფორმა (სტუდენტების მიერ სხვადასხვა ტიპის ცნობების მოთხოვნა, საგამოცდო ქულის გასაჩივრება და ა.შ.), ელექტრონული ფოსტა, სოციალური ქსელები;

კონსულტაციების და დახმარების მიღება კონკრეტულ სასწავლო კურსში მიღწევების გასაუმჯობესებლად სტუდენტს შეუძლია მიიღოს ამ კურსის პასუხისმგებელი ლექტორისაგან ინდივიდუალური მუშაობის ფარგლებში ყოველკვირეულად მითითებულ დროს.

კონსულტაციები დასაქმებასთან დაკავშირებით სტუდენტს შეუძლია მიიღოს სტუდენტთა კარიერული განვითარების ცენტრში, რომელიც უზრუნველყოფს ასევე სტუდენტის კარიერულიგანვითარების მხარდაჭერას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კურსების სილაბუსები;
- სტუდენტთა კარიერული განვითარებისა და მხარდაჭერის სამსახურის დებულება: https://www.tsu.ge/ge/government/administration/departments/caree

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- სასურველია, ინტერნაციონალიზიციის გეგმის შესაბამისად, სტუდენტთა მეტი დაინტერესება და ჩართულობა საერთაშორისო გაცვლით პროგრამებში.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
-

შეფასება

ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

3.2 მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა

მაგისტრანტებსა და დოქტორანტებს ჰყავთ კვალიფიციური ხელმძღვანელი.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

საგანმანათლებლო პროგრამის „გეომორფოლოგია, კარტოგრაფია და ლანდშაფტური დაგეგმარება“ მოქმედების განმავლობაში სამაგისტრო ნაშრომების თემებს შეიმუშავებდნენ და ნაშრომის შესრულებას ხელმძღვანელობდნენ პროგრამის ხელმძღვანელები და დეპარტამენტის სხვა თანამშრომლები. სამაგისტრო ნაშრომის შესრულება ხდება სწავლების მეოთხე სემესტრში. მაგისტრანტებს აქვთ საკმაოდ დიდი თავისუფალი არჩევანი მათი ინტერესებიდან გამომდინარე, აირჩიონ სამაგისტრო ნაშრომის თემა და სამეცნიერო ხელმძღვანელი. ფაკულტეტის საბჭო ამტკიცებს სამაგისტრო ნაშრომების თემებს. სამაგისტრო ნაშრომის შესრულების მონიტორინგს ასრულებს გეოგრაფიის დეპარტამენტი. დაცვა ტარდება საფაკულტეტო სტუდენტური კონფერენციის ფარგლებში ძირითადი გამოცდების პერიოდში. საჯარო დაცვამდე სამაგისტრო ნაშრომი განიხილება დეპარტამენტზე, რომელიც იძლევა ცალკეულ რეკომენდაციებს, იღებს გადაწყვეტილებას კვლევის დასრულების და საჯარო დაცვაზე დაშვების შესახებ. სამაგისტრო ნაშრომს აფასებს რეცენზენტი და ხელმძღვანელი და სამაგისტრო ნაშრომის დაცვის კომისია. შექმნილია შეფასების კომისია, რომელიც აფასებს სამაგისტრო ნაშრომებს. დამტკიცებულია სამაგისტრო ნაშრომის გაფორმების წესი, რომელიც ითვალისწინებს საჭიროების შემთხვევაში პლაგიატის დეტექტორი პროგრამის გამოყენებას. სტდენტებისათვის დამატებით ტარდება ტრენინგები აკადემიური კეთილსინდისიერების თემებზე, ასევე სამეცნიერო ნაშრომის სტრუქტურისა და დაწერის თავისებურებებზე. პროგრამისთვის დამახასიათებელია ოპტიმალური შეფარდება პოტენციურ

ხელმძღვანელებსა და მაგისტრანტებს შორის 8:12, რაც საშუალებას იძლევა ხელმძღვანელმა სათანადო ყურადღება დაუთმოს მაგისტრანტს. ხელმძღვანელის ფუნქციები განსაზღვრულია ფაკულტეტის საბჭოს გადაწყვეტილებით „მაგისტრანტის ხელმძღვანელის, უფლებები და მოვალეობების შესახებ“.

პროგრამაში ჩართული პესონალის, რომლებიც ძირითადად მოიაზრებიან დოქტორანტების სამეცნიერო ხელმძღვანელებად, კვალიფიკაცია დასტურდება მათი პროფესიული ავტობიოგრაფიებით.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- სამაგისტრო პროგრამა და სილაბუსები;
- სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის „გეომორფოლოგია, კარტოგრაფია და ლანდშაფტური დაგეგმარება“ ფარგლებში შესრულებული სამაგისტრო ნაშრომები;
- სატუდენტური კონფერენციის ვებგვერდი: http://conference.sens-2020.tsu.ge/;
- მაგისტრანტის ხელმძღვანელი უფლებები და მოვალეობები;
- ინტერვიუ სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან.

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- სასურველია, მეტად გაიზარდოს სტუდენტთა მხარდაჭერა კვლევით საქმიანობებში;
- სასურველია მაგისტრებისთვის ხელმძღვანელის/თანახელმძღვანელის არჩევა მსგავსი პროფილის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუციებიდან.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	X			

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა

ადამიანური, მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან და ეფექტურ ფუნქციონირებას და განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

4.1 ადამიანური რესურსი
➢ პროგრამას ახორციელებენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები, რომლებსაც აქვთ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია; ➢ პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის წარმართვას და ასევე, სამეცნიერო-კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო საქმიანობისა და სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების ჯეროვან შესრულებას. აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის ბალანსი უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას; ➢ პროგრამის ხელმძღვანელს, გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება და უშუალოდაა ჩართული პროგრამის განხორციელებაში; ➢ პროგრამის სტუდენტები, უსდ-ის მიერ უზრუნველყოფილები არიან სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის „გეომორფოლოგია, კარტოგრაფია და ლანდშაფტური დაგეგმარება“ განხორციელებაში ჩართულია აკადემიური პერსონალის 10 წარმომადგენელი (მათ შორის 2 პროფესორი, 4 ასოცირებული პროფესორი და 2 ასისტენტ პროფესორი), ასევე 2 მოწვეული პედაგოგი. აკადემიურ პერსონალს აკადემიური თანამდებობები დაკავებული აქვთ მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად - კონკურსის წესით. პროგრამის განმახორციელებელი პირების კვალიფიკაცია შესაბამისობაშია მათ საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან, ფუნქციებსა და

მოქმედ კანონმდებლობასთან. აკადემიური პერსონალის მიმართ უნივერსიტეტს წაყენებული აქვს გარკვეული საკვალიფიკაციო მოთხოვნები.

აკადემიური პერსონალის კვალიფიკაცია დასტურდება აგრეთვე მათ მიერ შესრულებული სამეცნიერო ნაშრომებით, ინდუსტრიული და სამეცნიერო პროექტებით, პროგრამის განხორციელებაში ჩართული პერსონალის რაოდენობა შესაბამისობაშია სსიპ-ივანე ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის რაოდენობის დაგეგმვის სარეკომენდაციო მეთოდოლოგიასთან (უნივერსიტეტის ხარისხის მართვის სამსახურის უფროსის ბრძანება №05-03, 07.03.2018) და არის პროგრამაზე ჩარიცხულ სტუდენტთა რაოდენობის ადეკვატური. საგანმანათლებლო პროგრამის პერსონალის დატვირთვის სქემა და რეალური დატვირთვა, მათი საერთო რაოდენობა და დენადობის დაბალი მაჩვენებელი უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის წარმართვას, პერსონალზე დაკისრებული ფუნქციების ჯეროვან შესრულებას და ასევე, საგანმანათლებლო პროგრამის მდგრადობას. საგანმანათლებლო პროგრამის პერსონალი სწავლების გარდა ჩართულია სტუდენტების კონსულტირების და პროგრამის განვითარების პროცესებში, ასევე პროგრამის ფარგლებში დაგეგმილ სხვადასხვა ღონისძიებებში.

პროგრამის ხელმძღვანელებს, პროფესორებს: ნოდარ ელიზბარაშვილსა და დალი ნიკოლაიშვილს, გააჩნიათ პროგრამის შემუშავებისა და მისი განხორციელებისათვის აუცილებელი კვალიფიკაცია, ცოდნა, უნარები და გამოცდილება, რაც დასტურდება შესაბამისი განათლებით, მდიდარი პრაქტიკული გამოცდილებით და საერთაშორისო რეფერირებად და მაღალი იმპაქტ-ფაქტორის მქონე სამეცნიერო ჟურნალებში გამოქვეყნებული სამეცნიერო ნაშრომებით. პროგრამის ხელმძღვანელები მონაწილეობენ პროგრამის შეფასება-განვითარებაში, ჩართული არიან პროგრამის განხორციელებაში, სტუდენტების კონსულტირებაში, პროგრამის ფარგლებში დაგეგმილ სხვადასხვა ღონისძიებაში. პროგრამის სტუდენტები უზრუნველყოფილნი არიან სათანადო რაოდენობის, შესაბამისი კვალიფიკაციისა და კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის CV;
- ყოველწლიური თვითშეფასება და სამეცნიერო ანგარიშები;
- უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2018 წლის 26 თებერვლის დადგენილება №81/2018 – „სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პერსონალის შეფასების წესის დამტკიცების შესახებ“;
- უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2018 წლის 26 თებერვლის დადგენილება №78/2018 – „სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის შეფასების წესის დამტკიცების შესახებ“;
- ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.2 აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება

- დაწესებულება რეგულარულად აწარმოებს პროგრამაში ჩართული აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის შეფასებასა და შედეგების ანალიზს;
- უსდ ზრუნავს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე, ასევე ხელს უწყობს მათ მიერ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელებას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა „გეომორფოლოგია, კარტოგრაფია და ლანდშაფტური დაგეგმარება“ ხორციელდება თსუ-ს ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის გეოგრაფიის დეპარტამენტში. პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ჯგუფის მიერ დისტანციურად გამართული და ადგილზე ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით, ვადასტურებთ, რომ საგანმანათლებლო პროგრამა შესაბამისობაშია

შესაბამისი სტანდარტის მოთხოვნებთან.

უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2018 წლის 26 თებერვლის N78/2018 და N81/2018 დადგენილებების შესაბამისად ყოველი წლის დასაწყისში აკადემიური სამეცნიერო/ მოწვეული პერსონალი, მასწავლებლები და დამხმარე პერსონალი ავსებს თვითშეფასების კითხვარს აკადემიური და სამეცნიერო აქტივობების შესახებ, რომლის მიზანია პერსონალმა ზუსტად აღიქვას ის მოლოდინები, რაც უნივერსიტეტს მასთან მიმართებაში გააჩნია; პერსონალის საქმიანობის სისტემატური მონიტორინგი, ძლიერი და სუსტი მხარეების გამოვლენა; პერსონალის განვითარების საჭიროებების გამოვლენა, ინდივიდუალური პოტენციალის აღმოჩენა და სწორი მიმართულებებით განვითარება; შრომითი მოტივაციისა და სამუშაოთი კმაყოფილების გაზრდა; დაკისრებული მოვალეობების შესრულების ხარისხის გაუმჯობესება. თვითშეფასების განხილვა შემდგომ ხდება აკადემიურ საბჭოზე; ფაკულტეტზე მოქმედი შიდა რეგულირებისა და საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მოთხოვნით ყოველი კალენდარული წლის ბოლოს ხდება დეპარტამენტის ყოველი წევრის სამეცნიერო საქმიანობის ანგარიშის წარდგენა, სადაც აღიწერება სამეცნიერო პუბლიკაციები და კონფერენციებში მონაწილეობა, სამეცნიერო პროექტები და სხვა სამეცნიერო აქტივობები. ყოველწლიურად ტარდება საფაკულტეტო სამეცნიერო კონფერენცია, სადაც ხდება თანამშრომელთა სამეცნიერო საქმიანობის წარმოდგენა. კონფერენციაში მონაწილეობა ღიაა და მასში ასევე აქტიურად მონაწილეობენ მოწვეული პედაგოგებიც. ფაკულტეტის ადმინისტრაცია უნივერსიტეტის სამეცნიერო დეპარტამენტთან ერთად ხელს უწყობს თანამშრომელთა მონაწილეობას გაცვლით პროგრამებში (DESIRE, Erazmus+ EU), ავრცელებს ინფორმაციას მათ შესახებ, უწევს კონსულტაციას დოკუმენტების მომზადების და სხვა ფორმალური პროცედურების შესახებ; ფაკულტეტი აფინანსებს აკადემიური პერსონალის მონაწილეობას სამეცნიერო ფორუმებში, რომელიც აისახება ბიუჯეტის კონკრეტულ კატეგორიაში; ფაკულტეტი წელიწადში ერთხელ გასცემს სახელფასო დანამატს WEB of Science-ის მიხედვით იმპაქტ ფაქტორის მქონე ჟურნალში გამოქვეყნებულ სტატიაზე; ფაკულტეტი სისტემატურად ზრუნავს პერონალის კვალიფიკაციის ამაღლებასა და პროფესიულ განვითარებაზე თანამედროვე საინფორმაციო ტექნოლოგიების სწავლებასა და კვლევაში დანერგვის კუთხით, რაც სხვადასხვა ღონისძიებებთან ერთად გულისხმობს ელექტრონული სწავლების გაძლიერებას Moodle-ის პლატფორმის გამოყენებით.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანმანათლებლო პროგრამაში ჩართული პერსონალის რეზიუმეები CV;
- ყოველწლიური თვითშეფასება და სამეცნიერო ანგარიშები;
- ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.3 მატერიალური რესურსი

პროგრამა უზრუნველყოფილია იმ აუცილებელი ინფრასტრუქტურითა და ტექნიკური აღჭურვილობით, რაც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

საგანმანათლებლო პროგრამა უზრუნველყოფილია პროგრამის სწავლის შედეგების მისაღწევად აუცილებელი ინფრასტრუქტურითა და ტექნიკური აღჭურვილობით. პროგრამის ფარგლებში სასწავლო პროცესის ჯეროვნად წარმართვისა და სხვა აქტივობებისათვის გათვალისწინებულია თანამედროვე ინვენტარითა და ტექნიკური რესურსით - ადეკვატური პროგრამული უზრუნველყოფის მქონე კომპიუტერული ტექნიკითა და სხვა მოწყობილობებით აღჭურვილი აუდიტორია-ლაბორატორიები, ბიბლიოთეკა და სამკითხველო დარბაზები, თსუ ბიბლიოთეკა, რესურცენტრი, მუზეუმი; თსუ ზსმ ფაკულტეტის სამეცნიერო-სასწავლო ლაბორატორიები; თსუ გეოგრაფიის დეპარტამენტის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა; თსუ გეოგრაფიის დეპარტამენტის მატერიალური ტექნიკური ბაზა (ხელსაწყო-დანადგარები, თემატური და ტოპოგრაფიული რუკები და სხვ.); თსუ-სთან არსებული სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტები; სხვადასხვა ორგანიზაციები, რომელთანაც თსუ-ს გაფორმებული აქვს თანამშრომლობის

მემორანდუმები.

ბიბლიოთეკაში განთავსებულია საგანმანათლებლო პროგრამის სილაბუსებით განსაზღვრული სავალდებულო ლიტერატურა და სხვა სასწავლო მასალა (მათ შორის ელექტრონულ მატარებლებზე არსებული), რომელიც უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. სტუდენტებისთვის ხელმისაწვდომია უახლესი სამეცნიერო პერიოდული გამოცემები, საერთაშორისო ელექტრონული საბიბლიოთეკო ბაზები, რომლებიც საშუალებას აძლევს მათ გაეცნონ შესაბამისი მიმართულების/დარგის უახლეს სამეცნიერო მონაცემებს, რაც ასევე ხელს უწყობს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. უნივერსიტეტის ზემოთ მითითებული მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია პროგრამის სტუდენტებისა და პერსონალისთვის. სტუდენტები ინფორმირებულები არიან არსებული რესურსების გამოყენების შესაძლებლობის და მოხმარების წესების შესახებ.

ლაბორატორიული ბაზა ბოლო წლებში მნიშვნელოვნად არის განახლებული, თუმცა სასურველია არსებული დინამიკის შენარჩუნება. დამთავრების სტადიაზეა სალექციო და ლაბორატორიული სივრცის თანამედროვე დონის რემონტი და აღჭურვა.

უნივერსიტეტის ზემოთ მითითებული მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია პროგრამის სტუდენტებისა და პერსონალისთვის. სტუდენტები ინფორმირებულები არიან არსებული რესურსების გამოყენების შესაძლებლობის და მოხმარების წესების შესახებ. სტუდენტები ინფორმირებულები არიან არსებული რესურსების გამოყენების შესაძლებლობის და მოხმარების წესების შესახებ.

მსოფლიოში და მათ შორის საქართველოში განვითარებული პანდემიის ფონზე, როდესაც შეიზღუდა სააუდიტორიო მუშაობა, უნივერსიტეტი ეფექტურად გადავიდა ონლაინ დისტანციური სწავლების რეჟიმზე. ამისთვის უნივერსიტეტი იყენებს ZOOM-ის პლატფორმას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ფაქტობრივი მდგომარეობა.

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- სასურველია ლაბორატორიული ბაზის განახლების არსებული დინამიკის შენარჩუნება და კვლევის მეთოდოლოგიის გაძლიერება და გაღრმავება;
- სასურველია, სტუდენტთა და დამსაქმებლებს შორის მეტი კოორდინაცია;

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.4 პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა

პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია და შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

საგანმანათლებლო პროგრამის უზრუნველყოფისთვის საჭირო ფინანსური რესურსები გათვალისწინებულია უნივერსიტეტის ერთიან ბიუჯეტში, რომელიც უზრუნველყოფს პროგრამაში ჩართული პერსონალის შრომის ანაზღაურებას, მათი პროფესიული განვითარებისათვის საჭირო ღონისძიებების დაფინანსებას, მატერიალურ-ტექნიკური რესურსების, სავალდებულო ლიტერატურის და სხვა სასწავლო მასალის შეძენის ხარჯებს. შესაბამისი ფინანსური რესურსები გამოყოფილია ფაკულტეტის ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილში, რაც ეკონომიკურად მიღწევადია და განაპირობებს საგანმანათლებლო პროგრამის ფინანსურ მდგრადობას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- უნივერსიტეტის ბიუჯეტი;
- ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის ბიუჯეტი.

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	X			

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები

სწავლების ხარისხის განვითარების მიზნით პროგრამა იყენებს შიდა და გარე ხარისხის სამსახურებს, პერიოდულ მონიტორინგსა და შეფასებას უწევს პროგრამას. აგროვებს და აანალიზებს რელევანტურ ინფორმაციას შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად და განსავითარებლად.

5.1 შიდა ხარისხის შეფასება

პროგრამაში ჩართული პერსონალი თანამშრომლობს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან/პერსონალთან პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და შეფასების განხორციელების პროცესში და იყენებს ხარისხის შეფასების შედეგებს პროგრამის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

ხარისხის უზრუნველყოფასთან დაკავშირებულ საკითხებს უნივერსიტეტში კოორდინირებას უწევს უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური რომლის საქმიანობა ეფუძნება პრინციპს „დაგეგმე, განახორციელე, შეამოწმე, განავითარე“.

უნივერსიტეტის რექტორის, აკადემიური საბჭოს თავმჯდომარის მიერ დამტკიცებულია დადგენილება №100. იგი განსაზღვრავს საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავება/განახლებისა და შეფასებისა და განვითარების საფეხურებს და მექანიზმებს. უსდ-ში ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური პროგრამის შემუშავება/ განახლების და შეფასების მიზნით მონაწილეობს პროცესებში როგორც საუნივერსიტეტო, ასევე საფაკულტეტო დონეზე. ატარებს კონსულტაციებს აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული, ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის, მასწავლებლებისთვის პროგრამის განვითარებასა და ხარისხის უზრუნველყოფასთან, ავტორიზაციასა და აკრედიტაციასთან დაკავშირებულ საკითხებზე;

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური საგანმანათლებლო პროგრამის შეფასებას ახორციელებს წინასწარ განსაზღვრული ინდიკატორების შესაბამისად რაოდენობრივი და თვისებრივი ინდიკატორების გამოყენებით. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური აფასებს საგანმანათლებლო პროგრამას და სილაბუსებს უფლებამოსილი ორგანოების მიერ მათ დამტკიცებამდე, უზრუნველყოფს დაინტერესებული მხარეების (სტუდენტები, აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული, ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის, მასწავლებლების, კურსდამთავრებულების, პოტენციური დამსაქმებლების,პროფესიული და არასამთავრობო ორგანიზაციების, უცხოელი სპეციალისტების) ჩართულობას პროგრამის შემუშავების და განვითარების პროცესში.

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ახორციელებს დაინტერესებული მხარეების გამოკითხვას და აფასებს მატერიალურ-ტექნიკურ რესურსების, საბიბლიოთეკო ფონდების შესაბამისობას საგანმანათლებლო პროგრამის საჭიროებებთან, საგანამანათლებლო პროგრამის განხორციელების ხარისხს. ჩატარებული კვლევის შედეგები მიეწოდებათ ფაკულტეტის ადმინისტრაციას და პროგრამაში ჩართულ პერსონალს, და გამოიყენება პროგრამის განვითარებისთვის.

ინტერვიუს დროს გამოვლინდა რომ აკადემიური და მოწვეული პერსონალი სტუდენტები, კურსდამთავრებულები, დამსაქმებლები აქტიურად იყვნენ ჩართული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებისა და განვითარების საკითხში და თანამშრომლობდა ფაკულტეტის და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის 2018 წლის 7 მარტის ბრძანება N04/03 „სსიპ-ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სილაბუსების შეფასების სარეკომენდაციო ფორმის დამტკიცების შესახებ“;
- უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის 2018 წლის 7 მარტის ბრძანება N02/03 სსიპ-ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების შეფასების

სარეკომენდაციო ფორმის დამტკიცების შესახებ“;

- უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2018 წლის 19 თებერვლის დადგენილება N67/2018 სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების შეფასების ინდიკატორებისა და შეფასების წესის დამტკიცების შესახებ https://www.tsu.ge/ge/juridical/axad_council_resolutions/2018acad/672018//;
- უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის 2019 წწლის 26 თებერვლის ბრძანება N01/03 სსიპ-ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტების, პერსონალის, კურსდამთავრებულთა და დამსაქმებელთა გამოკითხვის კითხვარების დამტკიცების შესახებ;
- ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები;
- ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.2 გარე ხარისხის შეფასება

პროგრამა რეგულარულად იყენებს გარე ხარისხის შეფასების შედეგებს.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

პროგრამის გარე შეფასება ხდება უნივერსიტეტში მოქმედი წესების შესაბამისად. უნივერსიტეტში მოქმედებს და საჯაროდ ხელმისაწვდომია ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა, რომელიც ითვალისწინებს "დაგეგმე - განახორციელე - შეამოწმე - განავითარე" ციკლს. დამტკიცებულია უნივერსიტეტის სტრატეგიული განვითარების გეგმა, ასევე, სამოქმედო გეგმა. სტრატეგიული განვითარების გეგმით განსაზღვრულია მიმართულებები და სტრატეგიული მიზნები. ძირითადი სტრატეგიული მიმართულებებია: სამეცნიერო-კვლევითი და ინოვაციური საქმიანობა; საგანმანათლებლო საქმიანობა; სტუდენტური ცხოვრება; ინსტიტუციური განვითარება. თითოეული სტრატეგიული მიზნის შესაბამისად სამოქმედო გეგმაში გაწერილია აქტივობები, განხორციელების ვადები, შესრულების კრიტერიუმები/ინდიკატორები, საჭირო ადამიანური და მატერიალური რესურსები, ფინანსური რესურსი. ფაკულტეტზე მუდმივად მიმდინარეობს მუშაობა აკადემიური და კვლევითი აქტივობების ხარისხის უზრუნველყოფაზე. ხარისხის უზრუნველყოფისმიზნით მოწმდება და ფასდება როგორც აკადემიური პერსონალის შესაბამისობა, ასევე სამეცნიერო პუბლიკაციების ხარისხი. ჩამოყალიბებულია პროგრამის განვითარების კომიტეტი (რომლის ძირითადი ბირთვია კურსდამთავრებულები, ინდუსტრიის წარმომადგენლები და დეპარტამენტის აკადემიური პერსონალი), რომლის რეკომენდაციებით მოხდება პროგრამის განახლება ან ცვლილება, აუცილებლობის შემთხვევაში. უნივერსიტეტის ადმინისტრაციის მართვის ორგანოები, ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, პროგრამის ხელმძღვანელები, პროგრამაში ჩართული პერსონალი და ფაკულტეტის სხვადასხვა სტრუქტურული ერთეული გარე შეფასების შედეგებს იყენებს პროგრამის განვითარების/გაუმჯობესების მიზნით.

გარე შეფასებებში ასევე მოაზრებულია ბაზრის კვლევა, დამსაქმებელთა და კურსდამთავრებულთა მიერ პროგრამის შეფასებები, რომლისთვისაც შემუშავებულია კითხვარები. კვლევის შედეგების ანალიზით მიღებული შეფასება გამოყენებული იქნება პროგრამის განსავითარებლად.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილება და ოქმი;
- დასაქმების ბაზრის კვლევა;
- ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები;
- ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტის დებულება;
- ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება

პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხორციელდება აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით ინფორმაციის სისტემური შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის მეშვეობით. შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტს შემუშავებული აქვს საგანმანათლებლო პროგრამების შეფასების და გაუმჯობესების მექანიზმები, რომელთა განხორციელებაშიც ჩართულები არიან სტუდენტები, დამსაქმებლები, კურსდამთავრებულები, აკადემიური, მოწვეული და ადმინისტრაციული პერსონალი.

ყოველი სასწავლო წლის ბოლოს დარგობრივი საერთაშორისო ორგანიზაციების ანგარიშების ანალიზის საფუძველზე ხდება პროგრამის შესაბამისი სილაბუსების გადახედვა და აუცილებლობის შემთხვევაში ცვლილებების დაგეგმვა/განხორციელება, რომელიც აისახება, როგორც შინაარსობრივ ცვლილებებში ასევე სასწავლო მასალის განახლებაში.

ასევე ხდება სასწავლო წლის განმავლობაში დამსაქმებელთა შემოთავაზება/მოთხოვნების შესახებ ინფორმაციის შეგროვება ანალიზი. ამ მასალის საფუძველზე ხორციელდება გარკვეული ტიპის ცვლილებები როგორც შინაარსობრივ ნაწილში, ასევე ადმინისტრაციულში (მაგ. იზრდება მისაღები კონტიგენტის რაოდენობა).

უნივერსიტეტში დაინერგა კოლეგიალური შეფასების სისტემა, რაც გულისხმობს

საგანმანათლებლო პროგრამების განმავითარებელ შეფასებას და წარმოადგენს აკრედიტაციის პროცესის ერთგვარ სიმულაციას. ამ ტიპის ინიციატივა ახალია არა მარტო უნივერსიტეტისათვის, არამედ სრულიად ქართული საგანმანათლებლო სივრცისთვის და ექსპერტების მიერ შეფასებულია, როგორც უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ დანერგილი საუკეთესო პრაქტიკა.

კოლეგიალური შეფასებისადმი ახლებური მიდგომა ხელს უწყობს ფაკულტეტთაშორისი თანამშრომლობის გაღრმავებასა და საუკეთესო პრაქტიკის ურთიერთგაზიარებას. კოლეგიალური შეფასება მიზნად ისახავს: საუნივერსიტეტო სივრცეში ხარისხის კულტურის ამაღლებას; სტუდენტთა ჩართულობის ზრდას პროგრამის შეფასებისა და განვითარების პროცესში; შიდა ხარისხის შეფასების როლის გაძლიერებასა და კულტურისამაღლებას.

ამჟამად ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტზე საპილოტე რეჟიმში ხორციელდება პროექტი. რომელიც მიზნად ისახავს გადაწყვეტილებათა მიღების და განათლების ხარისხის უზრუნველყოფის კუთხით სტუდენტების ჩართულობის გაზრდას. პროექტი ხორციელდება შოტლანდიური ორგანიზაციის „Sparqs (Student partnerships in quality Scotland)“ მხარდაჭერით. პროექტში ჩართულნი არიან ყველა საფეხურის სტუდენტები. უკვე ჩატარდა 4 სამუშაო შეხვედრა. შერჩეულნი არიან პროგრამის/კურსის წარმომადგენლები, რომლებიც აქტიურად ითანამშრომლებენ პროგრამის ხელმძღვანელებთან და აკადემიურ პერსონალთან პროგრამების და ზოგადად სასწავლო გარემის გაუმჯობესების მიზნით.

პროგრამების შედეგების შეფასებისათვის გამოიყენებული იქნება პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმები, რომლელში განსაზღვრულია ყველა სწავლის შედეგზე გამსვლელი სასწავლო კურს(ებ)ი, შეფასების მეთოდი, სამიზნე ნიშნულები, მონაცემების შეგროვების დრო, პასუხისმგებელი პირი.

მიღებული შედეგების ანალიზი ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ. ანალიზით მიღებული შეფასება გამოყენებულია პროგრამის განსავითარებლად.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დებულება;
- უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის 2018 წლის 7 მარტის ბრძანება N04/03 „სსიპ-ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სილაბუსის შეფასების სარეკომენდაციო ფორმის დამტკიცების შესახებ“ ;
- სწავლის შედეგების შეფასება;
- ინტერვიუს შეფასება.

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის

შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	X			

თანდართული დოკუმენტაცია (არსებობის შემთხვევაში)

სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

საგანმანათლებლო პროგრამა „გეომორფოლოგია, კარტოგრაფია და ლანდშაფტური დაგეგმარება“, მაგისტრატურა

დასკვნის გვერდების რაოდენობა: 39

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	X			
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა	X			
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	X			
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	X			
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	X			

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე

ნოდარ ფოფორაძე

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრ(ებ)ი:

მიხეილ ელოშვილი

მარიკა ტატიშვილი

ნინო ჯოჯუა

ნინო დეკანოიძე